

Image not found or type unknown

საია აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად

საია აცხადებს ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად წინამდებარე სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად:

შესყიდვის ობიექტი - კომპიუტერული ტექნიკა: 10 ცალი პორტატული კომპიუტერი (ნოუტბუქი), 3 ცალი ნეოტბუქი, 8 ცალი Desktop კომპიუტერი (მხოლოდ ქეისი), 23 – UPS და 12 ცალი WiFi, თანდართული დეტალური სპეციფიკაციის შესაბამისად).

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის ვადაში.

საქონლის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. №15 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;

შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ხარჯები რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეცემდებარება ანაზღაურებას.

სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს ჩათვლით და დღგ-ს გარეშე.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ინფორმაციას კომპანიის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი);
- ბ) მისაწოდებელი საქონლის ფასები დანართის შესაბამისად;
- გ) მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრული აღწერილობა;
- დ) ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო ვადების და პირობების შესახებ;
- ე) ანგარიშსწორების პირობები;
- ვ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის დამადასტურებელი მწარმოებლის (ISO) სერტიფიკატი;

დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ფასი შემოგვთავაზოს ცხრილში მოცემულ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რომელიმე კონკრეტულ მოდელზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ მოთხოვნილი დოკუმენტები ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე ისვანიძე@gyla.ge, განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 9 აგვისტო.

საკონაქტო პირი - ირაკლი სვანიძე (995 32) 2936101 / 2952553 შიდა (152)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, ჭ.კახიძის ქ. #15 0102

ტელ.: (995 32) 2936101 / 2952553

ფაქსი: (995 32) 2923211

Email: isvanidze@gyla.ge

Web: www.gyla.ge

სატენდერო პროდუქციის დეტალური სპეციფიკაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



Image not found or type unknown